საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი, ივლისის 9

1921 წ.

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

„სოციალისტ-ფედერალისტზე“

სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

ღრმად დამწუხრებულნი მამა ივანე ალექსანდრეს ძე, დედა თამარი გიორგის ასული ჯანდიერები, ძმები: გიორგი მეუღლით ანასტასია დავითის ასული, შვილი ვახტანგი, ნიკოლოზ, კოტე, დები: თიკო, ეუნო, ნინო, ლიზა და მარიამ ჯანდიერები, ბიძები: ევგენი მენშიკოვი და დიმიტრი მიხეილის ძე ჰიჰინაძე მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს, ნათესავებს, ნაცნობებს, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ სოც. ყვარელთან ყაჩაღების მიერ ვერაგულად მოკლულ პირველი ქართულ ცხენოსან ლეგიონის მწყობრის თავის

## იასონ ივანეს ძე ჯანდიერის

გადახდილ იქნება კვირას, ივლისის 10-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. პანაშვიდის დასაწყისი საღამოს 1 საათზე. 1008

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

**სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილების თანახმად, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.**

**ტფილისში რეგისტრაცია დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:**

1. ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8).
2. დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან მუშტაიდის შესახვევი № 11.
3. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
4. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 საღ. 4—6-მდე—და აგრეთვე რედაქციაში და ცენტრალურ ბიუროში.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

## სადღეისო წერილები

1

**სპეკულიაცია და სახელმწიფო.**

დღეს ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ წყეულ სპეკულიაციის შესახებ. ეს საკითხი მთავარ თემას შეადგენდა ქართველ საზოგადოებისათვის მენშევიკების ბატონობის დროსაც; პრესა, დამფუძნებელი კრება, საპარლამენტო კომისიები, კოოპერატივები, პარტიები და მთელი ფართო საზოგადოება სპეკულიაციის საკითხით იყო დაინტერესებული და ამ კითხვას სხვა და სხვა გვარად უვლიდენ და არკვევდნენ. მენშევიკების ბატონობისას, ისე როგორც დღეს, ბოლშევიკური ხელისუფლების დაბყარების დროსაც სპეკულიაციის საკითხი შეადგენდა თავსამტვრევ საგანს. ეს სრულიად ადვილი ასახსნელია. ორივე ეპოქაში ქართველ ხალხს სპეკულიატიური კაპიტალი დაეუფლა და მის მორევში იღჩობა ფართო მასები. მენშევიკების ბატონობამ და იმ ყალბს ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელსაც აწარმოებდა გაბატონებული პარტია, ჩვენში უდიდესი ნოყიერი ნიადაგი შეამზადა სპეკულიაციისათვის და შინაური და გარეშე სპეკულიანტები ყველას თვალწინ აშკარა და დაშლეპველ ექსპერიმენტებს ახდენდნენ ქართველი ხალხის ზურგზე.

სპეკულიაციის ლიკვიდაცია ვერც ბოლშევიკების გამარჯვებამ შესძლო და დღესაც ეს სენი განუკურნელ ბაცილებივით გამჯდარია ჩვენი ცხოვრების ორგანიზმში. სპეკულიატიური კაპიტალის ბატონობა უსაშინელეს ძალად უნდა ჩაითვალოს ყოველი ხალხის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ამისი გამანადგურებელი სოქსპლოატაციო პირობები ღარიბ ხალხს აწვება კისერზე. და ეს პარაზიტი რამოდენიმე წლის განმავლობაში მოუშორებლივ აზის კისერზე ჩვენ ხალხს და ვერც პოლიტიკური ფორმის შეცვლამ და ვერც პარტიულ ხელისუფლების ცვალებადობამ მას ვერ უშველა. პარაზიტი სხვა და სხვა გვარი ფორმათა და სახით განაგრძობს ბატონობას ჩვენში და მასზე არ მოქმედებს ახალი პოლიტიკური გარდატეხა და ცვლილებები. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზები? სპეკულიაცია ეკონომიური მოვლენაა, ეკონომიური ცხოვრების ერთი მხარეა. ეს მოვლენა კაპიტალისტური კულტურისა და მეურნეობის ვითარებამ წარმოშვა. სწორედ რომ ვსთქვათ, სპეკულიაცია პარაზიტული სახეა კაპიტალისტური მეურნეობისა და ეს სახე ამ მეურნეობისა განვითარებასთან ერთად ვითარდება და ძლიერდება. სპეკულიატიური კაპიტალი მოკლებულია რაიმე შემოქმედებითი ენერგიას, ის ვერავითარ როლს ვერ თამაშობს საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში. სპეკულიაციის ბატონობა და მისი როლი გვიჩვენებს მთელი კაპიტალისტური კულტურის სიდამპლესა და სიმახინჯეს. სპეკულიაცია ამ სიდამპლისა და სიმახინჯის შედეგია.

სპეკულიაცია სხვადასხვა გვარი სახით ვითარდება და ბატონობს. ეკონომიური კრიზისები, ეკონომიური ცხოვრების მოშლა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა ფრთებს ასხამს და ენერგიას მატებს სპეკულიატიურ კაპიტალს. მას არაფრის ახალის შექმნა არ შეუძლია, სამაგიეროდ ის დამშეული ბაზრები. ძიებაშია შექმნილ საქონლითა და დოვლათის ხელში ჩაგდებით ქმნის ისეთს პირობებს და კომბინაციებს, როდესაც ფასები ზღაპრული სიძლიერით იზრდება ბაზარზე სპეკულიატიური კომბინაციები ხელს უწყობენ და აძლიერებენ ეკონომიურ კრიზისებს.

ომმა უდიდესი ეკონომიური კრიზისები შექმნა მთელს მსოფლიოში, რამაც გააბატონა და გააძლიერა სპეკულიატიური კაპიტალი და კომბინაციები. ბატონი სპეკულიაცია ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულშიაც შეიჭრა და მისი იქიდან გამოდევნა არც ისეთი ადვილი გახლავთ, როგორც ისტორიამ დაგვანახვა. სპეკულიატიური ფს ხოხით შეპყრობილია საზოგადოების საგრძნობი ნაწილები და ერთგვარ სულიერ ავადმყოფობადაც გადაიქცა.

სპეკულიაცია მსოფლიო მოვლენაზე გამოწვეულია საერთაშორისო ეკონომიური მიზეზებით და ის მთელს მსოფლიოში მეფობს.. ერთის მხრით ომის ზეგავლენით პირობები შეიქმნა, რომ მსოფლიო ვერ ჰქმნის იმდენს დოვლათს, რომ შესაძლებელი იყოს მთელი კაცობრიობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მეორეს მხრით მომხმარებელი ვერ ეკარება დამზადებულ საქონელსაც სიძვირის გამო, ამ საერთო პირობებზე ვითარდება ეკონომიური კრიზისები „პერეპროიზვოდსტვას“ და „ნედოპროიზვოდსტვის“ ხასიათისა. სპეკულიაცია ამ საერთო ქაოსში თავის საქმეს აკეთებს.

ურთი-ერთობა შრომასა და კაპიტალს, მომხმარებელსა და ვაჭარს შორის გამწვავდა და ის ნორმალურს კალაპოტში ვერ ჩადგება.

ეს საერთო პირობები ქმნიან ნაყოფიერ ნიადაგს სპეკულიატიური კაპიტალის ბატონობისთვის.

სპეკულიაცია ეკონომიური მოვლენაა ის ვითარდება დაავადმყოფებულ ეკონომიურს პირობებში და მისი აღმოფხვრა და ძლევა პოლიტიკური ტერორით შეუძლებელია. სპეკულიაციას ჩვენ მიზანშეწონილი და რაციონალური ეკონომიური საშვალებებით მოვსპობთ.

ჩვენში პოლიტიკური აპარატის შეცვლამ და ხელიდან ხელში გადასვლას ვერაფერი დააკლო სპეკულიაციას, ეს ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს ეკონომიური ცხოვრების საფუძვლები და პირობები არ შეცვლილა, ზოგიერთ შემთხვევებში ის ძლიერ გაუარესდა და დღეს ეკონომიურ კატასტროფის წინაშე ვსდგევართ.

როდესაც საშინელი ეკონომიური კრიზისებია ხალხი განიცდის უდიდეს სიმშილს, ბაზრები დამშეულია სურსათ-სანოვაგით და საქონლით; ასეთ პირობებში სპეკულიაციის აღმოფხვრა ადმინისტრატიული აპარატით ტერორით შეუძლებელია. ამის მაგალითები ჩვენ გვიჩვენა რუსეთის ცხოვრებამ, სადაც სასტიკი ადმინისტრატიული რეჟიმი იყო დამკვიდრებული და ყოველგვარ სპეკულიაციის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა მისი აღმოფხვრა შეუძლებელი შეიქმა ბნელი პალევლების გზით ვითარდებოდა; ამის მიზეზები რუსეთის ეკონომიური ცხოვრების პირობებში მარხია ასევე მოხდა ჩვენშიაც. საბჭოთა სისტემამ ვერ მოსპო ჩვენში სპეკულიაცია და იგი დღესაც ბატონია ჩვენი ცხოვრების.

ყოველივე ზემო ნათქვამით მე არ მინდა ისე გაიგოს ვინმემ თითქოს მეამსურდეს ადმინისტრატიული რეჟიმი შესუსტებული იქნეს სპეკულიაციის წინააღმდეგ ჩვენში. წინააღმდეგ, ჩვენ ვფიქრობ რომ ეს რეჟიმი სასტიკათ და დაუნდობელი უნდა. შეიქმნას სპეკულიანტების წინააღმდეგ, თუმცა ამით მისს ბატონობას ვერ მოვსპობთ.

სპეკულიაციის მოსპობა შესაძლებელია სადი ეკონომიური პოლიტიკით. როდესაც ჩვენი სახელმწიფო შესძლებს დანგრეულ ეკონომიკის მოწესრიგებას ეკონომიური ცხოვრების ძარღვების თავის ხელში მოყრით და საკმაო დოვლათის შექმნით, როდესაც გამზადებული სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა გამრთელდება და მოისპობა შიმშილის აჩრდილი,—მაშინ სპეკულიაციის ლიკვიდაციის პროცესიც დამთავრდება ჩვენში.

დღეს ჩვენში სპეკულიაციას სახელმწიფოებრივი ეკონომიკის გზით უნდა ვებრძოლოთ უმთავრესად.

დევიანა.

## საბჭოთა მუშაობის გაჯანსაღებისათვის

ჯანსაღი და მოქნილი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა მეტად ძნელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, როდესაც ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია ხდება—ისიც სასწრაფოდ—ამ ბრძოლის პროცესში.

მენშევიკები სამი წლის განმავლობაში აწყობდენ აპარატს, მაინც ვერ მოაწყვეს.

ყოველთვის, როდესაც მენშევიკ მინისტრებზე იერიშებს მიიტანდენ და დაწესებულებათა და მათში წარმოებულ მუშაობის დეფექტებზე მათ მიუთითებდენ. მენშევიკები ასე იმართლებდენ თავს: რა ვქნათ, აპარატი მოწყობილი არა გვაქვსო. ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში და რა გასაკვირველია, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ ამ მხრით იმაზე მეტის გაკეთება ვერ შესძლო, რაც დღეს არის გაკეთებული. უნდა ითქვას პირდაპირ: ამ ხუთი თვის განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებდა სახელმწიფოებრივი აპარატის შესაქმნელად, ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი აწ უნდა გაკეთდეს. სახელმწიფოს ორგანიზაციის ხანა ჯერ არ დამთავრებულა. ის სახელმწიფოებრივ-ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც დღეს სწარმოებს არის უფრო წინასწარი მუშაობა ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, როდესაც დღევანდელი რევკომების ადგილი უნდა დაიჭირონ მშრომელი ხალხის მიერ არჩეულმა საბჭოებმა.

ამ წინასწარ მუშაობაში, ამ უკიდურესად გარდამავალ ხანაში შეცდომები, დეფექტები, უეჭველია, იქნება. ჩვენი მოვალეობაა ამ შეცდომებს, ამ დეფექტებს ახლავე შევებრძოლოთ, რომ მშრომელი ხალხის ნამდვილ ბატონობას მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ.

რევკომების დაშლა ორგანოების მოღვაწეობას რომ აკვირდებით უპირველეს ყოვლისა თქვენ ხედავთ, რომ ამ ორგანოებისა მოღვაწეობას ხშირად ახასიათებს სეპარატიზმი, კუთხური პატრიოტიზმი. პროვინციაში ორგანოები, რომლებიც, სამწუხაროთ თავიანთ რაიონის იქით აღარ იხედებიან, რომლებიც თავის რაიონებიდან ერთი გირვანქა პურსაც არ გამოუშვებენ, თუნდაც ამავე დროს ცენტრი სურსათ-სანოვაგის მხრით კატასტროფიული მდგომარეობაში იმყოფებოდეს!..

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია კუთხურ პატრიოტიზმს უნდა დაუპირდაპირდეს საქართველოს პატრიოტიზმი, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში! მეორე დიდი სენი, რომელიც ღრღნის ნორჩ საბჭოთა საქართველოს ორგანიზმს არის ბიუროკრატიზმი. ეს სენი ჩვენი საზოგადოებისათვის არ ახალია-ძველია. მენშევიკების დროს ბიუროკრატიზმი იქამდის მივიდა, რომ თვით მენშევიკური პრესა იძულებული შეიქნა ამის შესახებ ხმა აეღო.

მენშევიკური „ერთობა“ გაკვირვებული კითხულობდა: ასეთი ბიუროკრატიზმი საიდან გაჩნდაო.

ამ გულუბრყვილო გაკვირვების საპასუხოთ უნდა ითქვას, რომ ბიუროკრატიზმი ჩნდება ყველგან, სადაც ხალხს ხოციალისტურ, მაგრამ არც ფსიქოლოგიით და არც მოქმედებით ხოციალისტები აღარ არიან!

რომ საბჭოთა საქართველომ ამ სენს თავი დააღწიოს, საჭიროა მშრომელ ხალხთან უაღრესი დაახლოვება და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა.

არც პირველი და არც მეორე არ ახასიათებდა მენშევიკების მოღვაწეობას ამიტომაც განიცადეს მათ ასეთი ფიასკო. ეს დიდი გაკვეთილი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. ჩვენში არის მრავალი დაწესებულება, არა ერთი ორგანიზაცია, რომელიც ხრუდებით არაფერს აკეთებს. ამ ნიადაგზე ვითარდება ჩვენში ნამდვილი პარაზიტიზმი. სახელმწიფოს არ შეუძლია ყოველივე ეს ითმინოს. მუქთახორები კი არ უნდა შევქნათ, არამედ მათ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ! ჩვენი მეურნეობა მოშლილია, ჩვენი საწარმოო ძალები დაცემული განადგურებულია.

ხაჭიროა ჩვენი ქვეყნის პირობებთან შეფარდებული ეკონომიური სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომ განმტკიცდეს სოციალისტური საქართველოს ნორჩი ორგანიზმი.

მეტიჩრობას უნდა დაუპირისპირდეს მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობა.

მეშჩანურ წუწუნს ჭეშმარიტი სოციალისტური შემოქმედება—და მაშინ ყოველივე დაბრკოლებას დავსძლევთ!

შ—ელი.

## ორი უკიდურესობა

ჩვენს ცხოვრებას ჯერ პირის დაწმენდა ვერ მოუსწრია; ჯერ კიდევ ყალიბის პროცესს განვიცდით; გამოკვეთილი და მოთავებული ტენდენციები არ სჩანან მოქმედებებში, აზროვნებაში, ჩვენს შემოქმედებაში საზოგადოთ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფორმის გარეგნულად მოწესრიგებული ორგანიზაცია მოგვეპოვება—ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა საქართველოში, მაგრამ არ გვაქვს ერთი ჩამოსხმული შინაარსი, ერთი გეგმა ეროვნულ სახელმწიფოსა და რევოლიუ-

ციაზე, რაც არსებობს უდავო წარმოდგენა სახელმწიფოსა და ერის ერთის მხრით და რევოლიუციის ინტერესებზე მეორეს მხრით. არ მომხდარა ამ ინტერესთა გამიჯვნაც კი.

ზოგი პირველის სასარგებლოთ ავიწროებს მეორის ინტერესებს, ზოგიც უკანასკნელის მოსაზღვრეობასაც ვერ ამჩნევს და სირაქლემისავით სილაში თავი ჩაუდვია, რომ გაექცეს მისთვის არა სასურველ სინამდვილეს.

ყოველივე ეს ქანაობა და დუღილი, რომელიც ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას პრაქტიკულ მუშაობაში და აზროვნულ სფეროში იმის დამამტკიცებელია მხოლოდ, რომ რევოლიუციას ჩვენში ჯერ, კიდევ, თავისი კალაპოტი ვერ გამოუძებნია ჯერ კიდევ განვითარების პირველ საფეხურებს ვერ გასცილებია. რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ სადავოთ არ უნდა გადაქცეულიყო ჩვენი მოვალეობანი ეროვნულ სახელმწიფოსადმი, ჩვენი ვალდებულებანი საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციისადმი. რომ ამ საკითხების ირგვლივ არამც თუ დავა თეორიული ხასიათისა არსებობენ, არამედ მოქმედების დროს, პრაქტიკულ კონკრეტიული მუშაობის წიაღში მთელი წინააღმდეგობანი იჩენენ თავს. ამას მოწმობს სინამდვილე ყოველ დღიური ფაქტები.

თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ რევოლიუცია დუღილია, ღელვაა და სანამ იგი ჩამოყალიბებულია, ქანაობა—დაუდგრომლობასაც აქვს ადგილი ადვილად მიხვალ იმ დასკვნამდის, რომ ამ ტალღებს უკიდურესობისაკენ ლტოლვა ახასიათებს. როგორც სტიქიონი, ქაფ-მორეული ზღვის ტალღები, ჯერ ნაპირს მოასკდება, რათა შთანთქას იგი თავის წიაღში, ხოლო შემდეგ კი ზღვის უკიდობას მიაშურებს, ჩვენი ცხოვრებაც აზროვნებაშიაც და კონკრეტიულ მუშაობაშიც პირზე დორბლმორეული ხან ერთს უკიდურესობას ინაცვლებს, ხან კი მეორე უკიდურესობაში დაისადგურებს, სანამ ჯერ კიდევ იგი არ ჩამოქანდაკებულია და საბოლოვო ტენდენცია არ აურჩევია?

როგორია ეს უკიდურესობანი და სად არის ნამდვილი გზა, ქეშმარიტების ხერხემლით რომ უნდა წარმართოს ჩვენი ცხოვრება? ირგვლივ მიმოვიხედოთ და პასუხს სინამდვილიდან ამოვკრებთ.

არ გადაჭრილა არც ერთი კარდინალური საპირისპირო საკითხი საქართველოში საბჭოთა მთავრობის დამკვიდრებიდან, რომ თავი არ ეჩინოს ამ უკიდურესობებს და ყველგან ეს უკიდურესობანი ერთი და იგივე წერტილიდან, ერთი და იგივე წყაროდან არ გამოსულიყოს. ამას ჰქონდა ადგილი, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრის დროს. ერთი ნაწილი ვიწროთ შემოლთბილ ნაციონალურ ყურეს იქეთ არ ხედავს და არც უნდა შეხედოს ხაზგა არეს, ეროვნულს გადმა მდებარე სინამდვილეს, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ არსებობისათვის მას ჰგონია რომ ყველა ძალები ჩვენს ქვეყანაში არსებულ ურთიერთობით ამოიწურება და ამ ძალთა წონასწორობაც ჩვენი ქვეყნის რკალში მოქცეულ ძალთა დამოკიდებულებით განისაზღვრება. მისი პოლიტიკური ფორმულა პოლიტიკური იზოლიციას უდრის, მყუდრო და ჩაკეტილ ქართულ სახელმწიფოებრივ-ცხოვრების შექმნას გულისხმობს. ეს მეჩხანიზმია პოლიტიკაში, დაგუბებული შეხედულება ჩვენი ცხოვრების აღმშენებლობისათვის რომ გვაწოდებენ.

ასევე „ობივატელურია" ამ მეჩხანურ-პატრიოტთა შეხედულება ჩვენს ეკონომიურს განვითარებაზეც. გამოუცნობელი და საიდუმლო შიში იპყრობს მათ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიური კავშირის მოგონება. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ამ კავშირს, ურთიერთობის გაცხოველება რუსეთთან შეუძლია მოგვიტანოს შედეგად დიდი მატერიალური სარგებლობა, დიდი ეკონომიური აღორძინება.

დღეს არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ საბჭოთა რუსეთის ძარღვებში ახალი მჩქეფარე სისხლი ამუშავდა, გადახალისებული მეურნეობის აპარატის ხარბი მოძრაობა დაიწყო, რუსეთი წელში გამართება, მომავალი ძლიერების კონტურები მოსჩანს მის გამალებულ ეკონომიურ შემოქმედებაში. ჩვენი მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, შეუდარებლივ მძიმე იქნებოდა, რომ რუსეთის რევოლიუციის ორბიტაში მოქცეულიყავით მაშინ, როცა სამოქალაქო ომი ზენიტს აღწევდა და კაპიტალისტური კულტურის ნანგრევებიდან უმთავრესად საბრძოლველი ბარიკადები კეთდებოდა. დღეს ჩვენ ვერ ვიგრძნობთ ასე შესამჩნევად რუსეთის აღორძინების დაწყებას, რადგან ეს საგრძნობლად ჯერ არც რუსეთს გაუგია.

მაგრამ კარგი პოლიტიკოსიც ხომ ის არის ვინც თავის ერის მომავალს უმთავრესად პერსპექტივებით საზღვრავს და არა წუთიერი წარმავალი განცდებით. პერსპექტივა კი ჯერ-ჯერობით რევოლიუციის სასარგებლოდ ღაღადებს და ამითაც აიხსნება, რომ რუსეთი არ დამეცა ბრძოლის ველზე, თუმცა იგი მშიერი, შიშველი და მოშლილი ეკონომიური აპარატის პატრონი იყო; იგი ისვენებს საგარეო ფრონტზე, მაგრამ არ ისვენებს შინაურ-ეკონომიურ პოზიციაზე. რაც შეიძლება მეტი ეკონომიური კავშირი რუსეთთან ნიშნავს ეკონომიურ რენესანსის გზაზე დადგომას და არა რაღაც დემქკვე და გამანადგურებელ საშიშროებას, როგორათაც ეს წარმოუდგენიათ ჩვენი დროის ერთ უკიდურესობაში გადავარდნილ ხალხს.

ამნაირად, თუ ქართველი დემოკრატია გამოიჩენს მეტ გაგებას მომენტისას და უნარს თავის მდგომარეობის შეცნობისას, წაგებული არ გამოვა რევოლიუციასთან კავშირით, რუსეთის დემოკრატიასთან მტკიცე ეკონომიურ პოლიტიკური კონტაქტის დაჭერით. რაღა თქმა უნდა უკანასკნელი სრულიად არ გულისხმობს სავსებით იგივეობას რევოლიუციის ინტერესებისა და ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისას. მაგრამ იგი გარკვევით გვეუბნება რომ რევოლიუცია და ჩვენი ერის ინტერესები არც ერთ შემთხვევაში ერთი-მეორეს არ ეწინააღმდეგება. პირიქით ამ ინტერესთა შორის სოლიდარობა არსებობს, ბუნებრივი კონტაქტია, თუმცა ერთი ცნება მეორეს ვერ ფარავს და არც სასურველია რომელიმე ამ ორ ინტერესებისათვის, ასეთი გათქვეფა რეალური სარგებლობის თვალსაზრისით. მაშასადამე ერი, ეროვნული სახელმწიფო და რევოლიუცია, (კონკრეტიულად რუსეთის რევოლიუცია მყავს მხედველობაში) როგორც ერთ ცნებაში ვერ გაითქვიფება, ისე ერთი მეორეს ვერც დაუპირდაპირდება. ამ დაპირისპირებას კი სჩადის ერთ უკიდურესობაში გადავარდნილი ნაწილი ჩვენი დემოკრატიისა და დამფრთხალ მოქალაქეთა.

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ მეორე უკიდურესობასაც და ძალიან საგრძნობი ძალის სახით. ეს ძალა ჩვენს ყოველ-დღიურ ცხოვრებას უპირებს მიმართულების მიცემას, აქტიურ პოლიტიკის წარმოებაზე პრეტენზია ეს აცხადებს და სინამდვილეში უფრო მეტს საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე პირველი ტიპის უკიდურესნი. თავის ქურქის პოლიტიკას ბოლოს და ბოლოს ის ვნება შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს, რომ დემოკრატიის აქტიურად ჩაბმას ეროვნულ საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში ხელი შეუშალოს. ამ პოლიტიკას პასივობა უფრო ახასიათებს და დღევანდელს მომქმედს და მოძრავ პირობებში დიდხანს ვერ იმოგინებს. ამ მხრივ იგი ნაკლები საშიშარია.

რაში მდგომარეობს მეორე უკიდურესი პოლიტიკის საშიშროება და აქტიური პოლიტიკის პრეტენზიები?

უწინარეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ ამ პოლიტიკას ფესვები აქვს გადგმული კომუნისტებში ან „კომუნისტების" სახელის მატარებელ ხალხში" და მდგომარეობს შემდეგში: **არ არსებობს „ადგილობრივი, ეროვნული ინტერესები, არსებობს მხოლოდ რევოლიუცია და საერთაშორისო მოძრაობის ინტერესები.**

ამიტომ ამ უკიდურესობის ხალხი ჟესერის მოსკოვს და ავიწყდება ტფილისი, ხედავს მხოლოდ რუსეთს, როგორც რევოლიუციის განსახიერებას და ავიწყდება ამავე რევოლიუციის პატარა ქერქელი—საქართველო.

ბუნებრივია თუ ეს ხალხი საქართველოს სუვერენობის დამახასიათებელ ატრიბუტებს ერთის მოქნევით ანადგურებს. მე აქ უმთავრესად წრეული, მაგრამ რევოლიუციით დაბრმავებული კომუნისტების ერთი ნაწილი მყავს მხედველობაში. რევოლიუცია თავისთავად არ გულისხმობს საზღვარს, ეროვნული სახელმწიფო ამ წარმოდგენის გამომწვევია. და გასაგებია თუ როგორ დაუფიქრებლად გვიშლიან საზღვრებს, როცა საკითხს მარტო რევოლიუციის თვალსაზრისით მიუდგებიან. არხეინად იჭრება საკითხი ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა შეერთებაზე; რადგან მარტო რევოლიუციით დამთვრალებმა ვერ დაინახეს საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიონალური კავშირი რევოლიუცია არ უარყოფს საქართველოს დამოუკიდებელ პროფესიონალურ კავშირს, მაგრამ იგი თავისთავად არც გულისხმობს მას. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობის საკითხს ასე ადვილად სწყვეტენ ჩვენს ეროვნულს ნიადაგს დაცილებული, ან სრულიად მასზე ფეხ-დაუდგმელი ხალხი. ავიღოთ მრეწველობა, მეურნეობა-ფინანსები და საზოგადოთ ჩვენი ეკონომიკა და დავინახავთ, რომ ეს მეორე ტიპის უკიდურესნი ყველაფერს აჩქარებენ იგდებენ, ტლანქად სთელავენ და ქართველ დემოკრატიას ასეთს ტკივილებს აგრძნობინებენ. ამას წინად „პრავდა გრუზიია" გვირჩევდა: რად განდათ თქვენი საკუთარი ნავთის მრეწველობა, გაგიჭირდებათ, ბევრი ენერგია დაგეხარჯებათ. უმჯობესია ბაქოში წახვიდოდეთ და ყველაფერს იქაურ მრეწველობას მოახმაროთ. ამით აზერბეიჯანიც კრიზისს გადაიტანს, რუსეთს ნავთი მიუვა და თქვენც მეზობელი ასე უყურადღებოთ არ დაგტოვებთ. ასე მსჯელობენ ფანატიკოსები, რომელნიც დღევანდელ საერთაშორისო რევოლიუციასაც (რომელიც მდიდარია მრავალსახეობით და ინტერესებით) უპირებენ ვიწრო და ერთი აზრის ჩარჩოში ჩაკეტვას. რაღა თქმა უნდა ეს პოლიტიკა საზიანოა არა მარტო მათთვის, ვისაც ის ეხება ე. ი. პატარა ერებისათვის, არამედ თვით დიდი რევოლიუციისათვისაც ერმა საკუთარი მეურნეობაზე ხელი უნდა აიღოს, რადგან ასეთივე წარმოება სადმე ყაზანში თუ კურსკშია შესუსტებული. სოციალიზმში ჩვენ თან და თანი მშენებლობით უნდა წავიდეთ, საზოგადოებრივი წარმოების აღორძინებით უნდა მივაღწიოთ მას, რომ სოციალიზმი ჩვენთვის სიმდიდრის სალარო და ჩვენი ცხოვრების უზრუნველმყოფელი იყოს. ჩვენ ვამბობთ სოციალიზმის განხორციელების პროცესში შევდგით ფეხი-თქო და აქ დროს მოქალაქე პსკოვსკები გვირჩევენ სხვა სახელმწიფოების ფაბრიკა-ქარხნები ავამუშაოთ და სოციალიზმის დროს სხვისი ნამათხოვარით ვისაზრდოვოთ. შეიძლება ეს წრეული უკიდურესობა იყოს, რომელიც რევოლიუციის გვერდით ერებს ვერ ამჩნევს, მაგრამ არსებითად იგი პირწავარდნილ იმპერიალიზმის პოლიტიკას უდრის.

მოსკოვი ცხადია რევოლიუციის შუქით არის გაბრწყინვებული, მაგრამ არავის იაცემთ ნებას ჩვენი ბრძოლის გამნათებელი შრაქი ხელიდან გამოგვტაცოს თუ გინდ მოსკოვის დიდი სინათლის უფრო მეტად განათების არგუმენტით. ჩვენი ეროვნული ეკონომიურ-პოლიტიკური ლამპარი რევოლიუციისათვის იმითაც იქნება გამოსადეგი, რომ მის ხარჯზე არ იარსებებს ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი, გარდა იმისა, რომ რევოლიუციის მიზანს ერთა განთავისუფლებაც შეადგენს. უფრო მეტად ამ სახის უკიდურესობას უცხო კომუნისტები იჩენენ და ეს რამდენადმე გასაგებიც არის. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს. ამ უკიდურეს ეროვნულ ნიჰილისტებს და ჩვენი სიმართლის გამთელავთაც შესაფერი ადგილი უნდა მიუჩინოთ. ამით რევოლიუცია საქართველოში დიდს მოიგებს და გარკვეულ მტკიცე ტენდენციას შექმნის; რევოლიუცია განთავისუფლდება, როგორც პირველი, ისე მეორე უკიდურესობისაგან. კავშირი რევოლიუციისა და ეროვნულის საკითხის შორის იქნება საძირკველი პრაქტიკული საქმიანობისა. სოლიდარობის და არა ერთი ცნების მეორეში გათქვეფის ნიშნის ქვეშ განვითარდება ჩვენში რევოლიუცია. საერთაშორისო რევოლიუციის ხლვაში ჩვენი რევოლიუციის ნაკადი თავისებური ელფერის და ორიგინალობის მატარებელი იქნება, რომელიც მხოლოდ მოძრაობის ენერგიას შემატებს საერთო ტალღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი რევოლიუციონური წყაროც დაშრება და მსოფლიო რევოლიუცია და რუსეთის რევოლიუციაც ამისგან მხოლოდ წააგებენ.

მაშ ვებრძოლოთ ამ უკიდურესობებს და გამარჯვება მივანიჭოთ რევოლიუციის ბუნებრივ ყალიბს საქართველოში დედ, ორივე აღნიშნულ ძალთა დამარცხებით არ დამარცხდეს ერთი—საქართველოს, რევოლიუციონურ-სოციალისტური დემოკრატია!

ეს კი მხოლოდ ნაჩვენები გზით შეიძლება იქნეს სისრულეში მოყვანილი.

ეფ. ხაჩინოვდი.

# იმპერიალიზმი და რევოლიუცია აღმოსავლეთში

3.

წინა წერილში ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია საერთო ტენდენცია და მიდრეკილება თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა და აღვნიშნეთ, რომ ფინანსიური კაპიტალის ბატონობამ ეკონომიკაში გამოიწვია პოლიტიკაში—იმპერიალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა, რომელნიც თანამედროვე საერთაშორისო განწყობილების დამახასიათებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. აღვნიშნეთ აგრეთვე ის როლი და დირებულება, რომელსაც ასრულებს ყოველი მხრით მდიდარი და დოვლათიანი აღმოსავლეთი დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ და იმპერიალისტურს ვითარებაში.

აქ ჩვენ მოკლეთ შევეხებით აღმოსავლეთის დასავლეთ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ფაქტიურ განაწილების საკითხს და აღვნიშნავთ იმ სოციალ-პოლიტიკურს ცვლილებას, რომელიც შეიტანა იმპერიალიზმის მრავალ ათეულ წელთა ბატონობამ აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში.

აზიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 866 მილიონს უდრის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთა შორის პირველი ადგილი უჭირავს თავისი სივრცითა და მცხოვრებთა რიცხვით. აზია მდიდარია თავისი ბუნებრივი მრავალფეროვანებით, მცხოვრებთა სხვა და სხვა მოდგმით, ისტორიულ-კულტურულ და ზნე-ჩვეულებათა სხვა და სხვაობით. ამ მრავალ სახიანს ტერიტორიაში დასავლეთის იმპერიალიზმმა სხვა და სხვა გვარის გზებითა და საშუალებებით განამტკიცა თავისი ბატონობა და თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაუმორჩილა თავის გეგემონიას. საერთოდ აღმოსავლეთის დაპყრობამ მრავალ ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა და სისხლის შმორები დააყენა მთელს აზიაში.

თანამედროვე კოლონიალური პოლიტიკა საგრძნობლად განსხვავდება ძველი კოლონიალური პოლიტიკისაგან და მასთანვე ის სახელმწიფოები, რომელნიც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ და უძლიერეს კოლონიალურ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, კოლონიალურ პოლიტიკის გარიჟრაჟზე მოკლებულნი იყვნენ ამ ბედნიერებას და თანდათანის ბრძოლითა და სისხლის ღვრით შეიძინეს ის.

მე-16-ტე საუკუნეში დიდი კოლონიალური მპყრობელები იყვნენ ისპანია და პორტუგალია. მე-17 ში—ჰოლანდია და ინგლისი და მხოლოდ მე-18-ე საუკუნეში პირველობა მოიპოვეს ინგლისმა და საფრანგეთმა. დღეს კოლონიებით ყველაზე უფრო მდიდარი და ძლიერი სახელმწიფო ინგლისია. ინგლისის კოლონიალურ ბატონობისათვის ბრძოლის ისტორია მე-16-ე საუკ. დასასრულიდან იწყება. მე-16-ე საუკუნეში ინგლისმა რამდენიმე ომი გაუმართა ისპანიას, მე-17-ში ჰოლანდიას, მე-17-ე და მე-18-ე საუკუნოებში საფრანგეთს. მე-19 ე საუკ. დასაწყისიდან ინგლისი უკვე შეიქმნა უდიდეს კოლონიალურ მპყრობელად. *)

ინგლისის ბატონობის [illegible] აზია—ინდოეთია. [illegible] ამბობს: „მე არ ვცხოვრობ ინდოეთში, მაგრამ ვცხოვრობ ინდოეთით". დე-ტოკვილი ამბობს: „ინდოეთის დაპყრობამ და მმართველობამ მიანიჭა ინგლისს თავისი ადგილი მსოფლიოში". მოკლეთ, ინგლისმა მიზანშეწონილად მოიხმარა თავისი კოლონიალური პოლიტიკა და დაპყრობილი ჩამორჩენილი მხარეები აზიისა, ინდოეთის, აფრიკისა და სხვ. უდიდესი წყაროები შეიქმნენ ინგლისის ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებისათვის. ინგლისმა თავისი სიძლიერის საკვები მასალები ჩამორჩენილ კოლონიებიდან გამოსწოვა და ეს ტერიტორიები შეიქმნენ მისი მასაზრდოებელი ობიექტები.

ინგლისი აზიის მეუფე და ბატონია. საერთოდ კოლონიალურ სახელმწიფოთა შორის ინგლისს პირველი ადგილი უჭირავს და მისი ბატონობის ქვეშ მოქცეულია, საერთო რიცხვი რომ ავიღოთ, 33.5 მილ. კვ. კილომეტრი სივრცე ტერიტორიისა 393.5 მილიონიანი მცხოვრებით. **)

ამ საერთო რიცხვიდან ინგლისის სრულს ბატონობის ქვეშ არის მთელს აღმოსავლეთში დაახლოებით (ოსტ-ინდია, ეგვიპტე, ცეილონი, გონკონგი, შეერთებული მალაის სახელმწიფოები და სხვ.)—270 მილიონამდი.

ჰოლანდიის (აღმოსავლეთი და დასავლეთი ინდოეთი)—40 მილ. საფრანგეთი—(ინდო. კიტაი, ტონკინი, ანამი და სხ.—15 მილ. პორტუგალიის—900 ათასამდი. ***)

გერმანიას ყველაზე მცირე ადგილი ეპყრა აღმოსავლეთში და მისი ბატონობის სფერო კიაო-ჩაუს და სხვა პუნქტებით განისაზღვრებოდა. აღმოსავლეთის მფლობელთა შორის უნდა აღინიშნოს რუსეთი და იაპონია.

რუსეთი აზიის ტერიტორიაზე და საერთოდ (კავკასია, ცენტრალური აზია, ციმბირი, ხივა, ბუხარა და სხვა) ფლობდა კოლონიებს 33,2 მილიონამდე მცხოვრებით.

იაპონია აღმოსავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომლის ეკონომიური წარმატება უკანასკნელი ხანებში წინ იწია წინ და დღეს იაპონია გაცხარებული ძიებაშია, კოლონიების იაპონიის მეტროპოლია შეიცავს 0.4 მილიონ კვად. კილომეტრს სივრცეს 53.0 მილ. მცხოვრები. მისი მფლობელობის ქვეშ არის კოლონიები დაახლოებით 0,3 მილ. კვ. კილომეტრი სივრცე 19 მილ. მცხოვრებით. ეს დაახლოვებით ცხრილები გვიჩვენებენ ჩვენ თუ ფაქტიურად რომელ სახელმწიფოს ხელში რამდენი მცხოვრებია მოქცეული. აქ არსებითად სრული ბატონობა არის დამკვიდრებული ამა თუ იმ სახელმწიფოსი და პოლიტიკურად და ეკონომიურად იმპერიალისტურ ბატონების არტახებით არიან შებორკილნი და მათ საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენენ. ესენი ნამდვილს კოლონიებს წარმოადგენენ და პოლიტიკურად და ეკონომიურად სრულს მონებს.

მაგრამ არსებობს აგრეთვე ნახევრად კოლონიალური მხარეები. როგორც პირველ წერილში გვქონდა აღნიშნული, თანამედროვე იმპერიალისტურმა პოლიტიკამ და საერთაშორისო დამოკიდებულებამ დიდ სახელმწიფოთა შორის შეჰქმნა მთელი სერია ავრეთ წოდებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებისა. ეს სახელმწიფოები ფორმალურად თითქოს დამოუკიდებელნი არიან და საერთაშორისო დიპლომატიის ლექსიკონში ასედაც იწოდებიან; ფაქტიურად კი ისინი გადაყოფილია დიდ სახელმწიფოთა შორის

---

*) იხ. Г. Зиновьев: „Война и кризис социализма" ч. II-ая გვ. 33—34.

**) იხ. Н. Ленин: „Империализм", გვ. 82. აქვე არის მოყვანილი ცხრილი კოლონიალურ ქვეყნების გადაყოფის შესახებ დიდ სახელმწიფოთა შორის.

***) იხ. Г. Зиновьев: Война и кризис Социализма", ч. 2. გვ. 37—49. აქაც და ქვემოდ ჩვენ ვილაპარაკებთ დაახლოებით ციფრებით, რასაც შედარებით მნიშვნელობა ექნება. ს. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათი გავლენა განისაზღვრება ამა თუ იმ სფეროში პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობით.

ასეთი პოლიტიკის საილუსტრაციო მაგალითს მოგვცემს სპარსეთის 1907 წელს გავლენის სფეროებად გადაყოფა ინგლისსა და რუსეთს შორის, რომელიც გლეჯს ნაწილებად ძველს ირანს; ამ კონვენციიდან სჩანს, რომ ჩრდილოეთი ნაწილი ირანისა ეკუთნოდათ საბატონოთ რუსეთის ჟანდარმებს, სამხრეთი—დიდი ბრიტანეთის გაქნილ კაპიტალისტებს, შუა მიწა—ორივეს ერთად. *) ასეთმა პირობებმა ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნა ორივე სახელმწიფო კაპიტალისათვის და ეკონომიურად და პოლიტიკურად სპარსეთი ზემოდ აღნიშნულ სფეროებში დაუმორჩილა რუსეთისა და ინგლისის სრულ ბატონობას. რუსეთის წარმოებამ სპარსეთში დიდი ბაზარი მოიპოვა და ირანის ექსპორტისა და იმპორტის საქმეში პირველი ადგილი დაიჭირა. ამის მიზეზები იყო აგრეთვე სპარსეთის (ტერიტორიალური სიახლოვე და ახლო გზების უქონლობა სხვა სახელმწიფოებისათვის). მაგ. სპარსეთში 1913—14 წ. რუსეთმა შეიტანა 64 მილიონ მანეთის საქონელი, ინგლისმა 32 მილ., გერმანიამ—5. 5 მილ. საფრანგეთმა—3. 5 მილ. ასეთივე სურათი იშლება თვალ წინ სპარსეთიდან ნედლი მასალისა და საქონლის გამოტანის საქმეშიც.

ეს ფაქტები ჩვენ გვიუბნებიან, რომ რეალურად ხდება დამონება და ეკონომიური გაყვლეფა სპარსეთისა, მიუხედავათ იმისა, რომ სპარსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება.

ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ინგლისს ჩამოსცილდა თავისი ისტორიული კონკურენტი რუსეთი სპარსეთში, ინგლისის დიპლომატიამ მთელი სპარსეთი დაუმორჩილა თავის გავლენას 1919—წელში და შეუდგა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის გამტკიცებას ირანის სამეფოში.

სპარსეთის მდგომარეობის მსგავს მაგალითებთან გვაქვს საქმე ოსმალეთსა და ჩინეთში: აქაც გავლენის სფეროების გადაყოფისა და ეკონომიური ერთეულების გადამიჯვნის საკითხი რეალურად იყო დასმული, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სახელმწიფოები დამოუკიდებლობის სახელ-წოდებით იყო მონათლული ევროპის დიპლომატებისაგან, ეს სახელმწიფოები წარმოადგენენ ნახევრად კოლონიებს და შუა ადგილი უჭირავთ დამოუკიდებელ და კოლონიალურ ქვეყნებს შორის: ეს არის გარდამავალი ფორმა დამოუკიდებლობიდან სრულ მის მოსპობამდე.

ამ ნახევრად—კოლონიები (სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი), ლენინის ცნობით უჭირავთ 14. 5 მილ. კვ. კილომეტრის სივრცე 361. 2 მილიონი მცხოვრებით.

ჩვენ ვიცით თუ ვერსალის საზავო კონფერენციამ როგორი გამანადგურებელი პირობები შეიმუშავა ოსმალეთისათვის; სევრ. ს ხელ-შეკრულება პოლიტიკური სიკვდილია „ავადმყოფი ადამიანის“, ხელშეკრულების მუხლები ფაქტიურად სპობს ოსმანიის იმპერიის სუვერენობას და აქუცმაცებს პატარა სახელმწიფოებით, რომელნიც უნდა მოექცნენ ანტანტის ბატონობის ქვეშ. ამით მოკავშირეთ სურდათ ერთხელ და სამუდამოდ ამოეშალათ ოსმალეთი მსოფლიოს რუქიდან და მისი ყოფილი ტერიტორია სავსებით დაემორჩილებიათ მოკავშირე სახელმწიფოს პოლიტიკას და ეკონომიურ ჰეგემონიისათვის.

მაგრამ ანტანტის პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთში დიდი დამარცხება განიცადა და ანატოლიის დიდმა მოძრაობამ სულ სხვა გვარ პირობების წინაშე დააყენა იგი.

მაგრამ ოსმალეთის საკითხი მხოლოდ ნაწილია აზია-აფრიკა-მუსულმანური კოლონიალური პრობლემისა. ინგლისის სააზიო გეგმები რთულ და გრანდიოზულ სისტემად გადაიქცა. ინდოეთის შენარჩუნებისათვის ინგლისის იმპერიალისტებმა ხელში ჩაიგდეს ეგვიპტე და სამხრეთი ირანი. ამავე მიზნის განსახორციელებლად ინგლისისათვის აუცილებელია მესოპოტამია, მცირე აზია, არაბეთი, ავღანისტანი. ამიტომ ინგლისი სცდილობს ხელში ჩაიგდოს აზიაში რუსეთისა და გერმანიის დიდი ქონება და $^3/_4$ ოსმალეთისა. ამგვარად ინგლისის პოლიტიკა თავიდანვე იქითკენ იყო მიმართული, რომ დასავლეთ სამხრეთისა ცენტრალურ აზიის და აფრიკის მნიშვნელოვან ტერიტორიალური რაიონების დაპყრობით მაგარი რკალით გადაეჯაჭვოს ხმელთაშუა ზღვიდან და კავკასიონის ქედიდან დაწყებული სპარსეთის ყურამდი და ინდოეთის ოკეანემდი არსებული ქვეყნები.

ჩვენ გვახსოვს ამ გეგმების დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულება გერმანული იმპერიალიზმისა, რომელიც ბერლინ-ბაღდადის რკინის გზის არტერიაში გამოიხატებოდა. ამ გეგმას დიდი პოლიტიკური ეკონომიური და სტრატეგიული მიზნები ჰქონდა დასახული. გერმანიის იმპერიალიზმი ამ არტერიის საშუალებით სცდილობდა ეკონომიურად და პოლიტიკურად დაემორჩილებია ჩამორჩენილი მხარეები, გამოეწოვა აღმოსავლეთში დაგროვილი სიმდიდრე და ფოვლათი ერთის მხრით, მეორეს მხრით კი გადაეჭრა ინგლისისათვის მიმავალი გზები ინდოეთისა და ეგვიპტეში და გამანადგურებელი მახვილი ჩაეცა ინგლისის კაპიტალის არსებობისათვის აღნიშნულ ქვეყნებში.

არა ნაკლებს გეგმებს ისახავდა მიზნად ჩრდილოეთის (რუსეთის) იმპერიალიზმი შორეულ, შუა და ახლომახლო აღმოსავლეთში.

ამგვარად სულ ახლო წარსულში აღმოსავლეთში და მისი საკითხის ირგვლივ თავს იყრიდა მსოფლიოს დიდი-ტანიან პოლიტიკური ერთეულების სასიცოცხლო ინტერესები: ინგლისის, გერმანიის, რუსეთის, იაპონიის იმპერიალიზმი გარკვეული ფორმებისა და მიზნებით უპირისპირდებოდენ ერთი მეორეს.

ომმა რამდენიმეთ შესცვალა აღმოსავლეთის მებრძოლ ძალთა შემადგენლობა. გერმანიის იმპერიალიზმი დაილეწა ომის პროცესში დღეს ის თავისი შინაური საქმეებით არის გართული და საერთაშორისო პოლიტიკაში ვერავითარ გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობს. რუსეთი ამოიშალა მსოფლიოს რუქიდან, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფო და იქ რევოლუციამ მოიპოვა ბატონობის სარბიელი.

ასეთ პირობებში აღმოსავლეთი სამი დიდი სახელმწიფოს ბატონობის მაზად ხდება და ინგლისის, ამერიკისა და იაპონიის იმპერიალიზმი აქ ერთი-მეორეს წინააღმდეგ ლესენ მახვილს. აღმოსავლეთის წიაღში სამივე იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ფაქტები ვითარდება და ამით იწყება ახალი პერიოდი აღმოსავლეთის ცხოვრებაში.

**სამ. ხუნდაძე**

*) იხ. И. Кудрин: „Старый и молодой иран. „Рус. Богатства“ 1908 г. № 1 გვ. 90—1.

# საუბარი ქართველ მუშებთან

2.

ამხანაგებო! პირველ წერილში ჩვენა ვთქვით, რომ საერთოდ ერებისა და კერძოდ საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, როცა სოციალიზმის განხორციელებას შეუდგებით, როცა რევოლუცია გაიმარჯვებს: დღეს კი ჩვენ უნდა ვეცადოთ საქართველოს დამოუკიდებლობა მოვაწყოთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც რევოლუციის საჭიროება მოითხოვს; ამისთვის ჩვენ ბრძოლა დაგვჭირდება, დიდი კამათი, მაგრამ ჩვენ არაფერ უნდა მოვერიდოთ და დღევანდელი ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ თავისი და საქართველოს პრესტიჟი დაიცვას და ყველა ვიგინდარას არა ჰქონდეს უფლება საქართველოს წამდაუწუმ თავისი სურვილისამებრ ხელი წამოჰკრას, ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ გულით და სულით რევოლუციის თანა ვართ და ვიქნებით, ოღონდ ჩვენი ქვეყანა ნუ გადაიქცევა ათასი ქვემძრომის სათარეშო ასპარეზად, რაც ერების თვალში რევოლუციას სახელს გაუტეხს. სწორედ რევოლუციისა და ჩვენი ერის სახელით მოვითხოვთ საქართველოს თავისი სახელმწიფოებრივი სახე შეინახოს; ამით მივაღწევთ საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირს და მთლიანს, რევოლუციონურ ფრონტს საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ მე მინდა ახლა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ მეტად სერიოზულ გარემოებას. ხშირად გაიგონებთ: დღევანდელი მოძრაობა არ არის რევოლუცია, ან კიდევ დღევანდელი რევოლუცია დამარცხდება, ევროპის მუშათა კლასი არ გამოეხმაურება, რადგან ეს ჯერ ნაადრევი რევოლუციაო, ზოგნი კიდევ ამბობენ ამ მოძრაობამ სრულიად დამარხა სოციალიზმის იდეაო. აი ეს ყველა გვესმის ჩვენ და რასაკვირველია გვიჭირს გავერკვიოთ ან ერთი აზრი მოვიწონოთ, ან მეორე; აი სწორედ მეორე წერილში მინდა მე ამაზე გესაუბროთ და გავარკვიო გზა-და გზა რომლები არიან მართალნი. არის დღევანდელი მოძრაობა რევოლუცია თუ არა? შესაძლებელია დღევანდელი მოძრაობა ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს რევოლუცია არ არის, მართალი არაა. თვალს თუ გადავავლებთ რუსეთის რევოლუციის მსვლელობას, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს მოძრაობა რევოლუცია არ არის, შესაძლებელია ამ მოძრაობას სხვა ელემენტიც თანა სდევდეს, იმპერიალისტური, რეაქციონურიც, მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს მთავარი გეზი და მთავარი მიმართულება, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. თუ კომუნისტების საქართველოში შემოსვლას შევხედავთ ვიწროდ, რუსულის მასშტაბით, ჩვენ შეგვეძლიან აქ იმპერიალისტური ტენდენციები აღმოვაჩინოთ, მაგრამ თუ ჩვენ შევხედავთ ფართო ფარგლით, საერთაშორისო მასშტაბით, დავინახავთ, რომ ეს აუცილებელი იყო რევოლუციონური მოძრაობისათვის. განა რევოლუციონური რუსეთის ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ ეს ორი სახელმწიფოს ბრძოლაა; ეს რომ ასე იყვეს, ხომ ინგლისი ერთი ხელის დაკვრით გაანადგურებდა რუსეთს; მაგრამ ამას იგი ვერ ბედავს. რაშია საქმე? განა რუსეთი ასე ძლიერია ცოცხალი და ტეხნიკური ძალებით? სრულიადაც არა. რევოლუციონური რუსეთის სიძლიერე არც ცოცხალსა და არც ტეხნიკურ ძალებშია, მისი სიძლიერე რევოლუციონურ იდეებშია და ეს უბრალო შემეცნება, უბრალო სიტყვაც კი კანკალსა გვრის მსოფლიოზე გაბატონებულ ინგლისს და ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ ადგილობრივ შეინარჩუნოს პოზიციები; აი ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ეს მოძრაობა მუშათა კლასის მოძრაობაა და არა რუსული სახელმწიფოებრივი მოძრაობა. აი სწორედ ამისთვის მუშები უნდა გარკვეულად უცქეროდეთ იმ პირებს, რომელთაც სურთ შეცდომაში შეგვიყვანონ და რევოლუციას ჩამოგვაშორონ; შესაძლებელია რევოლუციას ბევრი უარყოფითი მხარეებიც ქონდეს, ამაზე ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკოთ, მაგრამ ერთი მაინც ცხადია ჩვენთვის: საქართველოს მუშათა კლასი გარკვეული სახით უნდა უცქეროდეს რევოლუციის საკითხს და რევოლუციისაკენ უნდა გადახაროს თავისი სასწორი. ბევრი უკუღმართობა თანსდევს ამ რევოლუციას და საქართველოს მუშათა კლასი ვალდებულია ყოველივე ეს გამოამჟღავნოს თვით რევოლუციის გაწმენდისათვის და მაღლა ასწიოს წითელი დროშა სოციალური რევოლუციისა; ეს არის მუშათა პოზიცია ამ რევოლუციაში; მაგრამ არის ერთი საკითხიც, რომელიც მუშებში იწვევს დიდ რყევას და ბუნდოვანებას? ეს არის რევოლუციის გამარჯვების ან დამარცხების საკითხი; მე ვფიქრობ ეს საკითხი რევოლუციონერებისათვის არ უნდა არსებობდეს; განა საფრანგეთის რევოლუცია, ან 1905-ის რევოლუცია იძლეოდა რაიმე გადამწყვეტ გარანტიას გამარჯვებისათვის. რასაკვირველია არა; მაგრამ რევოლუცია მაინც მოხდა, თუმცა სამწუხაროდ დამარცხდა; განა მუშა, რომელიც ეფიცება თავის „ხაზეინს“, დარწმუნებულია, რომ ამ გაფიცვით ის გაიმარჯვებს? არა. ბევრია მაგალითები მუშათა გაფიცვების დამარცხებისა, მაგრამ განა რომელიმე მუშას უფიქრია წინასწარ გამარჯვებაზე ან დამარცხებაზე? მუშათა კლასი ყოველთვის კლასიურად უცქერის საკითხს და პრაქტიკულადაც უნდა გადასწყვიტოს ყოველი კითხვა. მუშათა კლასი თუ დაიწყებს ფიქრს „ვაი თუ ვერ გავიმარჯვოო“ აი ასეთი ფიქრით, ის ნახევრად დამარცხებულია, მაგრამ როდესაც დაბეჯითებით ამბობს „უნდა გავიმარჯვო“, ის უკვე ნახევრად გამარჯვებულია, აი ასე უნდა დასვას საკითხი ჭეშმარიტმა მებრძოლმა, ნამდვილმა რევოლუციონერმა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ვიკითხოთ რატომ ვერ უნდა გაიმარჯვოს რევოლუციამ? მარქსისტების ერთი ნაწილი გვეტყვის: სოციალურ რევოლუციამდი კაცობრიობამ უნდა განვლოს საფეხურები, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევთ, საჭიროა საერთო პირობებმა შექმნას სოციალური რევოლუცია თანდათანობით, რომელიც უნდა დაეფუძნოს უმრავლესობას მშრომელი ხალხისას და არა უმცირესობას, როგორც ამბობენ მაქსიმალისტ-სოციალისტებიო“. მოკლედ „დემოკრატიზმით“ უნდა შევიდეთ სოციალიზმის სამეფოშიო“. აი ეს ერთად ერთი სერიოზული მოსაზრებაა დღევანდელი რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. მაგრამ არც ეს არის იმდენად სერიოზული, როგორც ბევრს ჩვენ პარტიულ ამხანაგებსაც კი გონიათ. ჩვენ შემდეგ წერილში შევეცდებით ამ „დემოკრატიზმის“ დარღვევას და გავარკვევთ გზას სოციალიზმისაკენ.

**ალ. დადეშულიძე**

# მუშათა წერილები

## მუშათა სასადილოები და მძვინვარე ხოლერა

როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამის ზეგავლენით მუშათა განახლებულ ცხოვრებაში პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა სხვათა შორის ჩვენ ვიხილეთ მუშათა სასადილოების გახსნაც, რაც მუშათა კლასის გამარჯვებათ ვთვალეთ და თავის დროზე აღნიშნით ჩვენი სრული კმაყოფილება გამოვსთქვით.

ჩვენ მაშინ ვსთქვით, რომ—მუშათა სასადილოები, იმის გარდა რომ იგი აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს მუშათა კლასისთვის, მით უმეტეს დღეს, იგი როგორც სისტემა და ახალი მოვლენა მუშათა ცხოვრებაში, პრინციპიალურად მისაღებია. ამავე აზრისა ვართ დღესაც.

რადგანაც დღეს მომენტი მეტის-მეტად რთულია, რის მეოხებითაც საშვალებას მოკლებულნი ვართ ეს ახალი დაწესებულება ისე მოვამართოთ და მოვაწყოთ, რომ იგი მუშათა მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდეს სურსათ-სანოვაგის უშოვნელობის და ნაკლებობის გამო, ამიტომ დასაწყებად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ახლაც ამ მდგომარეობის გათვალისწინება. ამას ვამბობდით ჩვენ ვემყარებოდით იმ ინტენსივობას, რომელიც არც ერთი წუთითაც არ უნდა შენელებულიყო, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ახლო მომავალში მუშათა მდგომარეობის ეკონომიურად გამოსწორებაზე არ ვიზრუნოთ.

იოლად ფონს გასვლის პრინციპი თავისთავად დროებითი საშვალებაა და სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რაკი მას მივიღებთ ამ გარემოებას წერტილიც დავუსვათ.

რამდენიც დრო გადის, იმდენად მდგომარეობა უარესდება. და საკითხიც დღეს სწორედ ისე უნდა დავაყენოთ როგორიც მდგომარეობაა დღეს და რასაც მომენტი გვავალებს.

დღეს ჩვენთვის საინტერესო საკითხი, მუშათა სასადილოებია. გვინდა გავიგოთ თუ რა კეთილება მუშათა სასადილოების გარშემო, რა წარმატება და წინმსვლელობა ეტყობა მას ჩვენში, მიუხედავათ იმისა, რომ მის ხელმძღვანელებს მეტად რთულს და მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა.

პირუთვნელად უნდა ვსთქვათ, რომ სამწუხაროდ მუშათა სასადილოების გაუმჯობესების საქმე, პირველ ყოფილ მდგომარეობაშია, რაიც პირდაპირ მიუტევებელია. საპატიო მიზეზები რასაკვირველია ბევრია, მაგრამ ის, რის გაკეთებაც დღეს შეიძლება და არა კეთდება, აქ არავითარი საპატიო მიზეზი სახეში არ არის მისაღები.

ეჭვს გარეშეა, რომ დღეს მუშათა ცხოვრების პირობები მეტად მძიმე კატასტროფიულია. არსებული პირობები მუშათა კლასზე ყველაზე [illegible] ლენას: ქარხნებში, [illegible] ყველგან სადაც კი [illegible].

დღეს სიმშილის და ეპიდემიის ხანაა, და ორივე ამ საშინელებას განიცდის უმთავრესად მუშათა კლასი და საერთოდ კი მთელი ღარიბი ხალხი. მართალია ჩვენ მედიკები არა ვართ, მაგრამ შეცდომაში არავინ არ ჩაგვითვლის თუ ვიტყოდით, რომ ყოველ გვარი ავადმყოფობა და ეპიდემიები—არის შედეგი ანტი-სანიტარული მდგომარეობისა, სიმშილისა და საზოგადოთ არა ნორმალური ცხოვრებისა.

სულ ერთი კვირა იქნება რაც ტფილისის ქუჩები აჭრელდა მრავალი განცხადებებით სადაც ჩვენი ხელისუფლება მოუწოდებს მოქალაქეებს დაიცვან სასტიკად სანიტარული პირობები მოვლენილ ეპიდემიის გამო.

მდგომარეობა მართლაც სერიოზულია. საჭიროა დიდი ბრძოლის გაჩაღება, მაგრამ როგორ, რა საშვალებები მოგვეპოვება, რა იარაღები გვაქვს რომ საომარი ფრონტები გავხსნათ შავი ჭირდილების წინააღმდეგ? აი კითხვა, რომელიც ყოველი მოქალაქისაგან მოითხოვს დაჟინებით პასუხს, მთელი გონებრივი აპარატის ამოძრავებას და მთელი ენერგიის ამოწურვას. ერთი სიტყვით ყოველი მოქალაქე უნდა შეიარაღდეს. ეს ბრძოლა არც ბოლშევიკურია, არც მენშევიკური. ეს ბრძოლა არ არის ძალა უფლების მოსაპოვებლად არამედ არის ბრძოლა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად და რა კი ეს ასეა, ამიტომ ვიმეორებთ ყოველი მოქალაქე უნდა მოემზადოს ბრძოლისათვის მიუხედავად იმისა თუ ვინ არის ბრძოლის გუნებაზე და ვინ არა; ვინაიდან მტერი, რომელიც დღეს კარს გვიკაკუნებს არის მტერი არა ბურჟუაზიისა, არა პროლეტარიატისა, არამედ იგი არის საერთოთ მთელი ხალხის მტერი. ჰოდა, აი ამიტომ ვამბობთ, რომ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ვინც განზე გადგება იგი ხალხის მტერია და პირველ ყოვლისა კი თავის თავისა.

მიუხედავად მთავრობის მოწოდებისა სასურველი მუშაობა ეპიდემიის და ხოლერის წინააღმდეგ ჯერ არ დაწყებულა.

არ არის გასუფთავებული და გაწმენდილი ქალაქის ქუჩები განსაკუთრებით განაპირა უბნებში. არ არის გახსნილი პუნქტები, ადუღებული წყალი, ბევრ ქარხნებში მუშები ჯერ კიდევ ადუღარ წყალსა სვამენ და რაც უმთავრესია—ადმინისტრაციის მიერ არ არის სასტიკი ზომები მიღებული იმის შესახებ, რომ—აიკრძალოს ყველა ის დაბალი ხარისხის სურსათ-სანოვაგე და განსაკუთრებით კი გაფუჭებული და დამპალი ხილეულობა, რომელიც დღეს მრავლად იყიდება მოედნებზე და რომელსაც უმთავრესად ხელმოკლე და ღარიბი ხალხი ყიდულობს და ხმარობს.

ერთი სიტყვით ქალაქის ცხოვრებაში დღეს, ამ საბედისწერო ჟამს სანიტარული მუშაობის უქონლობა აშკარადა სჩანს. ამას გარდა სახლების კომიტეტები არ დგანან თავიანთ სიმაღლეზე.

ასევე ითქმის მუშათა სასადილოებზე ამ უკანასკნელს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან სასადილოებში ვერ ინახავენ სისტემატიურად ადუღებულ წყალს; ჭურჭლებს, კოვზები და სხვა შემჩნეულია, რომ არ ირეცხება ადუღებული წყლითა. ამასთანავე ზოგიერთი სასადილოები მოთავსებულია ძლიერ ვიწროდ, რის მეოხებითაც სადილობის დროს იმართება „კუდები“ საჭიროა სწრაფად, დღესვე გადატანილ იქმნეს ფართო, სინათლიან და სუფთა ადგილებში. ერთი სიტყვით ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხს უნდა დაეხმაროს და ავანგარდის როლი იკისროს პროფკავშირებმა. ამიტომ კავშირთა ცენტრის მოვალეობაა ახლავე დაინიშნოს რწმუნებულები მუშათა სასადილოებში, რომელთა მეთვალყურეობითაც სასტიკად უნდა იქნეს დაცული წმინდა ჰიგიენური წესები.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს სასადილოებში მუშები იკვებებიან არა ნოყიერი საჭმელებით; მაშაზე თევზი და სხვა ამგვარები, რასაც მუშები ხშირად ღებულობენ—თუ არა ვცდებით—ხელს უნდა უწყობდეს ეპიდემიის გავრცელებას. თუ სხვა საშვალება არა გვაქვს რომ ეს ნაკლები ხოლერის შიშით თავი-

დან ავიცილოთ, მაშინ ვფიქრობთ მთავრობამ აუცილებლად უნდა მიიღოს სწრაფი ზომები და მუშებს სასადილოებში უნდა მიაწოდოს სადილობის დროს თითო ჭიქა ღვინო.

ეს უკანასკნელი ზომა, ყველა დაგვეთანხმება, რომ არ გამოიწვევს დიდ დაბრკოლებას, ვინაიდან ჩვენში ღვინო მრავლად მოიპოვება და პურივით სადაცო საკითხად არ არის გამხდარი.

გვწამს საერთო გაჭირვება და მძვინვარე კრიზისები, მაგრამ არც იმისი რწმენა დაგვიკარგავს, რომ საერთო თანამშრომლობით ხოლერის და სხვა ყოველგვარი ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთებული ხალხის ძალა გაიმარჯვებს.

მუშა დ. მელია.

# ახალი ამბები

— ქალთა საზოგადო კრება. კვირას ივლისის 10-ს დილის 10 საათზე, ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია ქართველ ქალთა საზოგადო კრება. საჭიროა ყველა წევრის დასწრება.

— სახელმწიფო საოპერო თეატრში კვირას, ივლისის 10 შესდგება კონკურსი იმათთვის, ვინც სურვილი განაცხადა საოპერო თეატრში გუნდში სამსახურისათვის. კონკურსის დასაწყისი დილის 11 საათზე.

— კვირას ივლისის 10 დილის 10 საათზე კოოპ. „ღლორძინების" ბინაზე (ვერის დაღმართი № 12) მუშათა კოოპერატივ აღორძინება იწვევს რწმუნებულთა საზოგადო კრების გაგრძელება რადგანაც დარჩენილი გადასაწყვეტი საკითხები დიდს შესანიშნავნი არიან, ამიტომაც ყოველივე რწმუნებულის დასწრება სავალდებულოა და აუცილებელი.

— თეატრალური საქმე პროვინციაში შორაპნის მაზრის თეატრალურ საქმეთა ინსტრუქტორ-ორგანიზატორმა გრ. მაჭავარიანმა დასამუშავებელი მოხსენება წარუდგინა სანახაობითი ნაწილის უფროს ზესტაფონისა, შორაპნისა, ხარაგოულისა, ძირულისა, ლაშისა, კიცხისა და სხვა თეატრების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, პროვინციაში სასცენო საქმეს დიდი წარმატება ეტყობა, როგორც სოფლის ისე დაბა ქალაქების მშრომელი მასა წარმოდგენებს ბლომათ ესწრება. მთავრდება სათეატრო შენობები ზესტაფონში (საზაფხულო) შორაპანში და ხარაგოულში, მაგრამ შენობებს დათავრების საქმეს აბრკოლებს უსახსრობა ამისთვის ინსტრუქტორი შუამდგომლობს რათა გადაიდვას ზესტაფონის თეატრის დასამთავრებლად 2-ნახევარი მილიონი. შორაპნის თეატრისათვის 9,770,000 მ., ხოლო ხარაგოულის თეატრის დასამთავრებლად 6.000.000 მანეთი ხარაგოულის თეატრს შემოსწირეს: ქიათურის რევკომის თავმჯდომარემ 1.000,000 მილიონი: გიორგი მაცაბერიძემ 150,000 მ. და ხარაგოულის რევკომმა 50,000 მან

— წყალსადენის გაწმენდა. ავჭალაში იმ ტერიტორიის დასათვალიერებლად, რომელიც უჭირავს ავჭალის სადგურის ქალაქის წყალსადენს, გაეგზავნა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ჯანმრთელობის კომისარიატიდან ექ. კიკალეიშვილი, გამგე ტფილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა ექ. ვაწაძე. ტფილისის კომუნალურ მეურნეობის კოლეგიის წევრი მაჭარაძე და დირექტორი ქალაქის წყალსადენისა ინჟინერი დიასამიძე. კომისიას დასახული აქვს ძთელი რიგი ზომების მიღება იმ მიზნით, რომ დაიცვან სიბინძურისაგან ტფილისში მისადენი წყალი. ამ ზომათა რიცხვში აღსანიშნავია სრულუფლებიანი კომისიის მოწოდება, რათა მოახდინოს სრული გაწმენდა ტერიტორიისა, რომელიც უჭირავს ზემო და ქვემო ავჭალას და გლდანს.

# რადიო

ზემო-სილეზიაში.

ნაუენი. მოკავშირეთა კომისიამ კატეგორიულ ფორმით წინადადება მისცა პოლონელებს, რათა მათ კვირას დაიწყონ ზემო-სილეზიის გერმანულ ნაწილის დაცლა.

გერმანიის მთავრობამ მოკავშირეთ წარუდგინა საბუთები ზემო-სილეზიის აჯანყებაში პოლონეთის რეგულიარულ ჯარის მონაწილეობის მიღების შესახებ. ეს საბუთები ემყარება იმ განცხადებებზე, რომლებიც წარუდგინეს სამხედრო ტყვეებმა კრონშპურგში ინგლისის მაიორ გრიზს და ოფიციალურ საბუთებს, რომლებიც აღმოუჩნდათ დახოცილ პოლონელებს. საგანგებო ნოტაში გერმანიის მთავრობა გამოსთქვამს პროტესტს იმ დახმარებისადმი, რომელსაც უწევენ პოლონელ აჯანყებულთ და თხოულობს მოკავშირეთაგან პოლონეთის საზღვრების ნამდვილ დაკეტვის უზ უნველყოფას.

პოლონელ-იტალიელთა შეჯახება.

ნაუენი, ივნისის 26. (რადიო). ოპელნიდან იტყობინებიან სერიოზულ შეჯახების შესახებ იტალიის ჯარებსა და პოლონელ აჯანყებულთა შორის კოზელის სამხრეთით.

რიბნიკში მოვიდა პოლონელ ინჟინერთა რაზმი დანგრეულ ადგილების გასაკეთებლად, რომელიც გამოიწვია უკანასკნელმა ბრძოლამ.

— კატოვიციდან იუწყებიან, რომ პოლონეთის საზღვრის ახლო გამოჩნდა პოლონელთა ძლიერი ნაწილებიო.

საფრანგეთის ინტერესების დაცვა.

ნაუენი. ბრიანი დეპუტატთა პალატაში გამოსვლის დროს დაჟინებით მოითხოვდა იმ აუცილებელ ზომების მიღებას, რომლებიც დაიცავს საფრანგეთის ინტერესებს და უკიდურეს შემთხვევაში უზრუნველჰყოფს გერმანიის წინააღმდეგ ძალდატანებით ზომებს. ბრიანმა აღნიშნა, რომ მას არ ეპარება ეჭვი, რომ გერმანია მზათაა გამოიყენოს თავისი ვალდებულებანი. თავის მხრივ, საფრანგეთმა საკუთარ ინტერესებისათვის უნდა ხმარი დაუჭიროს გერმანიის კაბინეთს და დემოკრატიულ პარტიებს. გერმანულ პრესაჲ მიაჰყავს-რა ბრიანის სიტყვა აღნიშნავს, რომ მისი სიტყვები გესლიან დაცინვის გამომხატველია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება იმ სანქციათა გაბათილებას, რომელიც მოითხოვა გერმანიის არამც თუ დემოკრატიულ, არამედ საზოგადოდ დანარჩენ ყველა პარტიებმაც.

ანტანტის პოლიტიკა.

ნაუენი. რუსეთის ყოფილ საელჩოს მდივანმა ზიბერტმა გამოაქვეყნა დიპლომატიური საბუთები, რომლებიც აასიათებენ ანტანტის პოლიტიკას ომამდე —ამ საბუთებში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ სამხედრო შეთანხმების არსებობას ინგლისს, საფრანგეთს და რუსეთს შორის შეერთებულ მოქმედების შესახებ ომის შემთხვევაში, ზიბერტს სხვათა შორის მოჰყავს საგარეო საქმეთა მ ნისტრის გოდე ბენიენდორფის ბრძანება 1914 წლ. მაისის 15-ია მსოფლიო ომისა, თუმცა ანტანტა დაჟინებით უარჰყოფს ამას. საბუთები გვიჩვენებენ, თუ როგორ მუშაობდნენ მოკავშირეთა დიპლომატები და ჰხატავდნენ დიპლომატიურ სურათებს 5 წლის განმავლობაში ომის დაწყებამდე. ეს საბუთები ადასტურებენ, რომ მოკავშირეთა რწმუნება, ვითომც და ომი გამოიწვია გერმანიამ—სრული სიცრუეა.

ინგლისელთა ეშმაკობა.

ანგორა. ოსმალეთის პრესა სწერს: ინგლისელებმა წაგვასისხეს ბერძნებზე. იმათვე წაგვართვეს კონსტანტინეპოლი. დარწმუნდნენ რა შემდეგ, რომ ამ გზით და საშვალებებით ისინი ვერ მიაღწევენ თავის მიზანს, ინგლისელები სცდილობენ ქვეყნის სხვა და სხვა ნაწილში და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ვილაიეტებში მოაწყონ ადგილობრივი ან და საერთო აჯანყება, რომლისათვისაც იმიზეზებენ ოსმალეთში ბოლშევიკურ იდეებს გავრცელებას. ამ მიზნით ინგლისელები ანატოლიაში გზავნიან ხალხს. მიღებულ ცნობებით, ინგლისის აგენტებს ნაბრძანები აქვთ პროპაგანდის გაწევა ენვერ-ფაშის სახელით იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად აღელვონ ხალხი.

საბერძნეთის ნოტა.

ანგორა. ბერძნებმა რადიო - დეპეშით გაუგზავნეს ევროპას და ამერიკის ყველა საგარეო საქმეთა მინისტრებს განცხადება, რომელშიაც უარჰყოფენ ხმებს ანატოლიაში მუსულმანთა პროპაგანდის შესახებ ქრისტიანთა წინააღმდეგ.

ეგვიპტეში.

ქაირო. ეგვიპტეში გრძელდება რევოლიუციონური მოძრაობა. რკინის გზის მუშები განაგრძობენ გაფიცვას. გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა.

ალეპპოს საალყო მდგომარეობა.

ანგორა. ალბანელებმა გამოაცხადეს საალყო მდგომარეობა ქალ. ალეპპოს რაიონში. ფრანგებმა დახვრიტეს რამოდენიმე ათი არაბი.

ბერძენ-ოსმალთა ომი.

ლონდონი. შაბათს სადამოს პრესაში ჯერ კიდევ არ იყო ცნობა შუამდგომლობის შესახებ, ბერძენთა და ოსმალთა შორის, რომელიც წარუდგინა ანტანტამ. საბერძნეთის ხელმძღვანელ წრეებში გამოსთქვამენ მწუხარებას, რომ მოკავშირეთა წინადადება არ იქნება მიღებული იმ დრომდე, როდესაც საბერძნეთის ლაშქარმა დაიწყო ახალი შეტევა, პირველ შედეგების მიღწევამდე.

ინგლისის მაღაროში მომუშავენი

ლონდონი. ინგლისის მაღაროებში მომუშავეთა თაოსნობით მოწვეულია მაღაროში მომუშავეთა თათბირი მწარმოებლებსა და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად.

ჩეხო-სლოვაკია და მუნგრეთი

რომი. ივნისის 23-ს შესდგა ჩეხოსლოვაკ-მადიართა კონფერენცია. იხილავენ საკითხს ეკონომიურ ურთი-ერთ დამოკიდებულებაში აღმოცენებულ შეფერხებათა შესახებ.

საბერძნეთს მორიგება არა სურს

ლონდონი. ათინიდან იტყობინებიან. რომ საბერძნეთის მთავრობამ მოიწონა პასუხი მოკავშირეთა წინადადებაზე. საბერძნეთის მთავრობა იტყობინება, რომ ის ანგარიშს არ გაუწევს ანტანტის წინადადებებს. საბერძნეთის მთავრობა თანახმა არ არის უარი სთქვას ან და გადასდოს სამხედრო მოქმედება ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ.

# წარმოებათა ნაციონალიზაცია.

ს. ს. ს. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გაეროვნდეს შემდეგი წარმოებანი:

ტფილისის მექანიკური ქარხნები. 1.—ხოშტარიასი, 2.—ვახნინსკებისა 3.—საბოლევ და კომოევისა, 4.—ყოფილ ქართულ სატრანსპორტო საზოგადოებისა, 5.—გიომი, 6.—ბენდუქიძესი, 7.—თბილისის სპილენძის ჩამომსხმელი და 8.—გაგნიძესი.

ქარხნები. თაიროვი, ალიხანოვის, ტოლესს ამ—ნის საქციონერო საზოგადოება, მთელი შემადგენლობით, წარმოებით და ყველა განყოფილებებით. ხოშტარიას საპნის ქარხანა, ყოფილ ეროზათა კავშირისა ყოჩიაშვილის სავაჭრო სახლი ძმ. ბასენცოვებისა, ქირომასისა, წუწუმიას ქარხანა „ასანთი", ყინულის დამამუშავებელი ქარხნები: 1. სეილახოვისა, 2. „რატორი" 3. სიხარულიძესი, 4. მელიქ-აზარიანცისა, 5. გაზოლედისა და 6. ძეგველოვისა.

თამბაქოს ქარხნები: ენფიაჯიანცისა, სეილანოვისა, ბოზარჯიანცისა, საფრონოვისა „კომეტა"-სი მიც. „ლევ" და „სლონის"-ა ტფილისში ქუთაისში, კი მეძმარიაშვილის, ამხ—ბა ძმ. ქავთარაძეს, სახამბელიძესი, ბათომში საფრანგეთის სააქციოაერო საზოგადოება „ბინიატ-ოღლი" სა. აღმოსავლეთი და დანიელოვისა.

ტყავის ქარხანა. ყოფილ ქალაქთა კავშირისა, მეცა, სახო—ბა ზარგარიანცისა, ბარტაშალიანცისა, და სხვ. სახლი ძმ. ბლენცოვებისა; ტფილისის ქიმიური ქარხანა და დ. სარაჯიშვილის ღვინო არყის, რექტიფიკაციული და ღვინის გამომხდელი ქარხნები. ამ-ბა „არგო" სა, ლუდის სახელი ქარხანა მემკვიდრე ლუიზა მადერისა და მინერალურ წყლების ქარხანა ევგენი ზემელისა, რომელიც იჯარით აიღო კალანდაძემ და დიტრიხის ამხანაგობამ, საკვები საგნების ქარხანა ს. ბ. და გალეტის ფაბრიკა—ხარაზოვის ფურნე. ლუდის ქარხანა სიხარულიძესი ყოფ. „ვეტკალი", ხელოვნურ მინერალურ წყლების ქარხანა ლადიძესი ძველი ზემელი. ბამბის საქსოვი ქარხნები ამ მახმუდ ბეკოვების, მთვარაძის და ხრიოკულის ბამბის ქარხნები ძმ. ზლატოგორსკების ძაფის დამრთველი ქარხანა ამხ. ტექოტელისა. საფეიქრო ქარხნები: ძმ. პეროგლიანებისა, მ. კუზნირისა ხე-ტყის ქარხნები (ხუროები) პეტროვისა, ტერ-ასატუროვის მემკვიდრეებისა, ყოფილ ეროზათა კავშირისა, როტინოვებისა, თამამშევისა, უმიკოვისა, ტერსტეფანოვისა, სირაძესი და ფარასტაევისა. ავეჯის ფაბრიკები: მოსტოვოისი და ყოფილ ქალაქთა კავშირისა, ქუთათელაძისსა და კოსტანდიევისა, საფანერო ფაბრიკები გიაზაროვისა, ტერ-გევორქიანისა, დუნიცანისა და „მუღმანოვისა. შპილკების ფაბრიკა: კავკასიის ამხ-ბისა, ხის დამმუშავებელი სახელოსნო მამაცაშვილისა და ბეჟუაშვილისა, შურ და კომ-ნია.

— ქუთაისში ხე-ტყის ქარხნები: დათეშიძესი, კატრიძე და გიორგაძესი. მდრეკ—ავეჯის ფაბრიკა სააქციონერო საზოგადოება ქორე ფაბრიკისა.

— გორში. ხე-ტყის ქარხანა ყოფილ გორის სამაზრო ერობისა.

— ახალციხეში. ხე-ტყის ქარხანა ყოფილ სამაზრო ერობისა.

— სადგურ ხაშურთან. ხე-ტყის ქარხანა ყოფილ სამაზრო ერობისა.

— სადგურ სადახლოსთან ურუცკის ხე-ტყის ქარხანა.

— სადგურ ბოდდატიხთან: ხე-ტყის ქარხანა, ყოფილ ქუთაისის სამაზრო ერობისა.

— სადგურ საჩილავახთან: გრაფ სბოევაკის ხე ტყის ქარხანა.

ქალაქ ბათომში; ბოქკის ქარხანა. საფანერო-სადურგლო ქარხანა არისტენკოსი, პიტოევის და მანთაშევის ქარხნები. ზუგდიდის მაზრაში მდინარე კალეზე ბუკიას და ამხ-ბა, ხე-ტყის ქარხანა, უმჩაიძესი სოფ. ანაკლიასთან, ყოფილ ზუგდიდის სამაზრო ერობისა, ფითიასი და თოლუასი, ჭანტურიაკი და დეკეზუაბაძესი. ბათომში მექანიკური და ლითონის ჩამომსხმელი კაპლანის ქარხანა. ძაფების ქარხანა ამხ-ბა „მარს"-ისა, ცესტის ქარხანა პლასტინისა და სადღეავების ქარხანა ამხ-ბის ბერხმან და კარაპოვსკისა. ტფილისში კოლოფის სახელოსნოები „ძაიაკ" „კავკ-ზ" სიმონიანცისა, ავეთოვისა და სკოლისა, ფირაჯიონისა, სარქისიანისა და „ენერგიას", როტინოვის, ბაბახანოვის, ბოროშევისა და შლიგერის სახელოსნოების მოწყობილობა ჩართვალოს, როგორც ... ზიცეით აღებული. სახელმწიფო ... გამოცხადდეს აბასთუმნის ღვინის—სა დელი ... კრამიტის ქარხანა საზ-ბა ანდრეევ ... ტინა სა... ... ... ლიძეს ქარხანა მთელი თავის განყოფილებით და წარმოებებით.

# ჩვენი ფოსტა

ალ. ჭაბუკიანს. მანდატი ისევ ა... ბულია და გამოგზავნილი. განაგრძ... მუშაობა.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

დავკარგე პასპორტი ერმი... ანტონის ძე დარ... სელია ზუგდიდის მაზრის კახათ... მცხოვრები გთხოვთ გაუქმებულად ჩა... თვალოთ. 10...

კბილის ექიმი
აპოლონ ურუშაძე
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 ტ 6...
სქესობრივი ეძლურება, ვენერიულ... ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლ... მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფებ... მიღება 10—2 და 5—7 საათ. 94...

შინაგანი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავად... მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინ... ველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლ... მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხვრ... სასულე—მილის ავადმყოფობას ვექიმ... „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით... ვეძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილ... 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელი... სკის ქუჩა № ..., ბინა 2. 38

უმ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მ ა ჩ ა ი ძ ე
აღგებს მოსამზადებლ.
ჯგუფებს
ოთხი და ექვსი კლასის ოოწმობის ოისადებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და აფთიაქის მოწაფის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებათი გამოცდებზე მოსამზადებლად.
მეცადინეობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081

სოფრ. მღებრიშვილის
თხზულებანი I და II ტ.
იყიდება წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იქავე ბუხჰალტერია სოფრ. ტარუაშვილისა.
ბუნების გულთა ვაჟას გარდაცვალებაზე—სიმღერა არაყიშვილისა
1108

ტფილისის საერთო განათლების მოსამზადებელ კურსებზე
მომავალ სემესტრისათვის სამეცადინოდ ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე, კვი... უქმეების გარდა, საღამოს 5—6 საათამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღ... შეიძლება კურსების კანცელარიაში—რეალ. სასწავლებლის შენობა.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუხჰალტერიო კურსები
ალ. გ. საათაშვილისა
მიიღებიან ყველანი წლოვანობის განურჩევლად. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათ. და საღამოს 4—7 საათზე. მისამართი: დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი რაიონი) წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვაი № 5. 1103